

## ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ

შპს ინტერნეტ სერვისები - ს/კ 406237763 (შემდგომში "შემსრულებელი"), ერთის მხრივ და მომსახურების მიმღები მეორეს მხრივ (შემდგომში "დამკვეთი"), ვდებთ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით ქვემოთგანსაზღვრულ ურთიერთსასარგებლო საქმიანობაზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების ძალით მხარეები თანხმდებიან, რომ მისი მოქმედების პერიოდში "შემსრულებელი" "დამკვეთის" ნების საფუძველზე გაუწევს "დამკვეთს" 1.2 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებას.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში განსაზღვრული მომსახურება გულისხმობს ერთს ან რამდენიმე მომსახურებას, რაც ჩამოთვლილია ქვემოთ:

1.2.1. **მომსახურება "საზიარო ჰოსტინგის" შემთხვევაში (Shared Hosting):** "დამკვეთი"-სათვის „დომენების“ DNS ჩანაწერის შექმნას, 24 საათიან შენახვას - web/mail ჰოსტინგს ინტერნეტში, რისთვისაც "დამკვეთი" - სათვის "შემსრულებელი" მის მფლობელობაში არსებულ სერვერზე გამოყოფს არენდით „დამკვეთი“-ს მიერ მოთხოვნილ დისკურ სივრცეს მოთხოვნილი ტექნიკური პარამეტრების თანახმად, რომელიც მითითებულია მის მიერ რეგისტრაციისას. ამასთან გარანტირებული ავ-თაიმი შეადგენს 99,5%. "დამკვეთს" შექმნილი ჰოსტინგის გააქტიურებისთანავე რეგისტრირებულ ელ-ფოსტაზე გადაეგზავნება ჰოსტინგის ადმინისტრაციულ პანელში შესვლის პარამეტრები.

1.2.2. **მომსახურება "ვირტუალური სერვერის" შემთხვევაში (სერვისი VPS server - მოწოდებულია პარტნიორი პროვაიდერი კომპანიების მეშვეობით - ყოველთვიური გადახდის პერიოდით):** "დამკვეთი"-სათვის გამოიყოფა შეკვეთის დროს არჩეული პარამეტრების ვირტუალური სერვერი, „შემსრულებელი“-ის მხრიდან სერვერზე დაინსტალირდება დამკვეთის მერ არჩეული ოპერაციული სისტემა (მომსახურებაში მითითებული ვარიანტებიდან) და საბოლოოდ სერვერზე წვდომის პარამეტრები გადაეცემა დამკვეთს. ამ დროს ყველა კომუნიკაცია დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დაცული და ხდება finddomain.ge-ის "მხარდაჭერის" კომუნიკაციის სიტემის მეშვეობით. ამით "დამკვეთს" გადაეცემა პროგრამულად მოწყობილი სერვერი (ე.წ. კომპიუტერი), რითაც სრულდება "შემსრულებლის" მხრიდან შეკვეთილი მომსახურების მიწოდება. სერვერზე საკუთარი საიტების და პროგრამების განთავსება, სერვერის შიდა კონფიგურაციის გაწერა და სხვა სამუშაოები მიმდინარეობს "დამკვეთის" მიერ და მასში ჩარევა, თუნდაც დამკვეთის მიერ არასწორი კონფიგურირებებით შექმნილი პრობლემების მოგვარება შემსრულებლის ვალდებულებას არ წარმოადგენს. რაც გულისხმობს, რომ ამ მომსახურების შექმნისას "დამკვეთს" უნდა ჰყავდეს ამისათვის საკუთარი კვალიფიცირებული IT სპეციალისტი. „შემსრულებლის“ მხარდაჭერის სამსახური ასეთ დამკვეთებს ეხმარება მხოლოდ კონსულტაციებით შეძლებისდაგვარად და ვუზრუნველყოფთ სერვერის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობას.

1.2.3. **მომსახურება "ფასიანი SSL სერტიფიკატების" შემთხვევაში (სერვისი მოწოდებულია პარტნიორი პროვაიდერი კომპანიების მეშვეობით - ყოველწლიური გადახდის პერიოდით).** აღნიშნული მომსახურება აქტიურდება ავტომატურად გადახდის დაფიქსირებისთანავე. ამ მომსახურების განხორციელებისთვის აუცილებელია ჰოსტინგი, რომელზეც ის უნდა გააქტიურდეს უნდა არსებობდეს ჩვენს სერვერზე.

1.2.4. **მომსახურება „დომენზე ჩასაფრების" შემთხვევაში (მომსახურება შექმნილია შემსრულებლის მიერ - ყოველწლიური გადახდის პერიოდით).** მომსახურება აქტიურდება ავტომატურად გადახდისთანავე. მომსახურების არსი: ჩვენი სისტემა პერიოდულად (დღეში რამდენჯერმე) ახორციელებს დომენის ვდის შემოწმებას და მისი განთავისუფლების შემთხვევაში ელ-ფოსტით ატყობინებს დამკვეთს შესაბამისი შემოწმების შედეგად;

1.2.5. **მომსახურება „DNS ჩანაწერების" მომსახურება (მომსახურება შექმნილია შემსრულებლის მიერ - ყოველწლიური გადახდის პერიოდით).** მომსახურების არსი: გადახდის შემდეგ დამკვეთი "მხარდაჭერის" კომუნიკაციის არხის მეშვეობით უგზავნის შემსრულებელს შესაქმნელ ჩანაწერებს, რაც დამკვეთის მხრიდან განხორციელდება 24 საათის განმავლობაში);

1.2.6. **მომსახურება „საიტის მიგრაცია/აღდგენის" მომსახურება შექმნილია შემსრულებლის მიერ).** მომსახურების არსი: საიტის პროგრამის ან ჰოსტინგის სარეზერვო ვერსიის (backup) გადატანა ან აღდგენა დამკვეთის შემსრულებლის სერვერზე არსებულ მიმდინარე აქტიურ ჰოსტინგზე.

1.2.7. **მომსახურება „დომენის გადაყიდვის" (დომენის მარკეტი) (მომსახურება შექმნილია შემსრულებლის მიერ - ყოველწლიური გადახდის პერიოდით).** მომსახურების არსი: აღნიშნული მომსახურებით დომენის მესაკუთრეს ეძლევა საშუალება გაყიდოს საკუთარი დომენი და/ან საიტი მისთვის მისაღები ფასით და

შუამავლის გარეშე. სერვისის ფარგლებში დომენზე ავტომატურად იქმნება პირველი გვერდი დომენის და/ან საიტის გაყიდვის მონაცემებით. აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნაა, რომ დომენი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული finddomain.ge-ის რეგისტრატორთან.

## 2. ხელშეკრულების შინაარსი

2.1 მხარეები თანხმდებიან ზუსტად და დროულად შეასრულონ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებები.

## 3. ანაზღაურების წესი

3.1 მხარეები თანხმდებიან, რომ "შეკვეთის" ფასი განისაზღვრება ეროვნულ ლარში შერჩეული პაკეტის მიხედვით, ვებ გვერდზე მითითებული ოფიციალური ფასების შესაბამისად, რომელთა კორექტირება შეიძლება მოხდეს ერთი თვით ადრე წინასწარი გაფრთხილებით.

3.2 "დამკვეთი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 3.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა ონლაინ ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოხატვის შემდგომ მიღებული ინვოისის შესაბამისად, ასევე ყოველ მომდევნო პერიოდში, „დამკვეთის“ მიერ შერჩეული ციკლის თანახმად ბილინგის სისტემის მიერ გაზაფხნილი ინვოისების მიხედვით ავანსად.

## 4 პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

4.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების ნაწილობრივი, ან სრული შეუსრულებლობა გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების გამო. ასეთ გარემოებებზე მიიჩნევა: საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურებები, დივერსია, ხანძარი, ბლოკადა, ელექტროენერჯის კრიზისი, ცვლილებები კანონმდებლობაში და სხვა გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

4.2 ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დამთავრებისთანავე მხარეებმა უნდა განახორციელონ ასეთი გარემოებების დადგომამდე ნაკისრი ყველა ვალდებულება.

## 5. მხარეთა ვალდებულება

5.1. "შემსრულებელი" ვალდებულია: არ განახორციელოს წვდომა "დამკვეთის" კუთვნილ მონაცემებზე და მასალებზე, კერძოდ, ვებ გვერდის ფაილური (Ftp) მასალებზე, მონაცემთა ბაზებზე და ელ-ფოსტებზე "დამკვეთისაგან" წინასწარ მიღებული თანხმობის გარეშე;

5.2. "შემსრულებელი" ვალდებულია: განახორციელოს მისი კუთვნილი სერვერების მუდმივი მონიტორინგი და იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე, მიუხედავად ამისა, რადგან არ არსებობს 100%- იანი გარანტია ფაილების არდაზიანების ან/და არწაშლის, „დამკვეთი“ ვალდებულია პერიოდულად (საკუთარი გრაფიკით) მოახდინოს სერვერებზე ატვირთული ინფორმაციის სარეზერვო კოპირება მის პირად კომპიუტერში ან/და CD/DVD დისკებზე, ასევე მეხსიერების ბარათებზე და არ დატოვოს ასლები მხოლოდ სერვერებზე. "ინტერნეტ სერვისები " არ იღებს პასუხისმგებლობას აბონენტის მხრიდან სერვერებზე განთავსებული ფაილების დაკარგვაზე. "ინტერნეტ სერვისები" უწევს რეკომენდაციას აბონენტებს, სარეზერვო ასლების შენახვის პერიოდულობა იყოს სავარაუდოდ კვირაში ერთხელ, შესაძლებელია მეტი ან ნაკლებიც, იმის გათვალისწინებით თუ რა პერიოდულობით ახლდება ინფორმაცია სერვერზე. ამასთან "შემსრულებელი" არ არის პასუხისმგებელი "დამკვეთის" მიერ მისთვის გამოყოფილ ვებ სივრცეში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოებაზე.

„შემსრულებელმა“ დამკვეთის დაცვის მიზნით შესაძლოა თავად შეინახოს სერვერზე - ჰოსტინგის backup ვერსიები, რომელიც ყოველკვირეულად სისტემურად იქმნება ავტომატურ რეჟიმში, ასევე „შემსრულებელმა“ შესაძლოა შეინახოს " დამატებით ყოველთვიური - ჰოსტინგის backup ვერსიებიც, მაქსიმუმ ბოლო 6(ექვსი) თვისა. აღნიშნული მონაცემების შენახვის მიზანია დაიცვას დამკვეთის პროგრამა და მონაცემები სავარაუდოდ დაზიანებისაგან და ემსახურება პროგრამის აღდგენას, კერძოდ, წარსული თარიღით მის უკან დაბრუნების შესაძლებლობას. ძველი ყოველთვიური ვერსიის გამოთხოვა ფასიანია, ხოლო ყოველკვირეულ (ბოლო 2-6 კვირა) ვერსიებამდე წვდომა მუდმივ რეჟიმში ავტომატურად უფასოდ ეძლევა დამკვეთს თავისი ჰოსტინგის ანგარიშიდან. „backup ვერსიების" შექმნის სერვისი არ ითვლება „შემსრულებლის" სავალდებულო ქმედებად, ვინაიდან „დამკვეთს" ნებისმიერ დროს თავადაც შეუძლია ჩამოტვირთოს საკუთარი მასალის „სარეზერვო ვერსია“ (თუნდაც ყოველდღიურ რეჟიმში) და თავად აწარმოოს შენახვის პროცესები. „დამკვეთს" ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია, თუ რა

პერიოდის ჰოსტინგის backup ვერსიები არსებობს „შემსრულებლის“ არქივებში და შესაბამისი წესით მოითხოვოს ისინი ან მოითხოვოს მათი წაშლა - განადგურება;

5.3. „დამკვეთი“ ვალდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შეასრულოს 3.2. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები;

5.4. დამკვეთი იღებს ვალდებულებას არ ჩატვირთოს სერვერზე, არ გამოიყენოს გასაგზავნად ან არ განათავსოს კონტენტი რომელიც: - არის არაკანონიერი, მუქარის შემცველი, შეურაცმყოფელი, რომლებიც არღვევს საავტორო უფლებებს, პროპაგანდას უწევს რასობრივ, რელიგიურ, სქესობრივ, სოციალურ დისკრიმინაციას და აღვივებს შულს, შეიცავს შეურაცყოფას კონკრეტული პირებისა და ორგანიზაციების მიმართ; - არღვევს არასრულწლოვანთა უფლებებს, შეიძლება მათთვის ნებისმიერი ფორმით ზიანის მიყენება; - არღვევს ან ავიწროვებს უმცირესობათა უფლებებს; - იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც თქვენ არ გააჩნიათ უფლება გახადოთ საჯარო საქართველოს კანონმდებლობით, ან რომელიმე ხელშეკრულებით; - იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც ეხება რაიმე პატენტს, სავაჭრო ნიშანს, კომერციულ საიდუმლოებას ან არღვევს მესამე მხარის საავტორო უფლებებს. - იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც შეიცავენ სპამს(მათ შორის სამიებო), უცხო ელექტრონულ მისამართებს; - იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც შეიცავენ ვირუსებსა და სხვა კომპიუტერულ კოდებს, ფაილებს და პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან პროგრამების, კომპიუტერებისა და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობათა ფუნქციონალური შეზღუდვის, დარღვევისა თუ განადგურებისათვის. ასევე კომერციული პროგრამული პროდუქტების სერიული ნომრების, კოდების, ლოგინების, პაროლების ან სხვა რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნეტის ფასიან რესურსებში არასანქცირებულ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ინფორმაციაზე ლინკების განთავსება; - მესამე პირთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შენახვა; - მესამე პირების ქსელში ნებისმიერი სახით წარმომადგენლობა; - საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შეგნებული დარღვევა. აკრძალულია "სპამის" დაგზავნა, "ვარეზ", პორნო, პროქსი და პოპაპ საიტების განთავსება, ასევე Fishing და სხვა სახის არაკანონიერი კონტენტის განთავსება;

5.4. მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში „შემსრულებელი“ უფლებამოსილია შეუჩეროს მომსახურება „დამკვეთს“ გადახდის ვადის გასვლიდან 14 კალენდარულ დღეში, რა პერიოდშიც ინახავს მის კუთვნილ სერვერზე არსებულ „დამკვეთის“ მონაცემებს (ელფოსტას, ვებ გვერდის ბაზას, ფაილებს და ა.შ.), ხოლო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ გააუქმოს მომსახურება და წაშალოს სერვერიდან „დამკვეთის“-თვის გამოყოფილ სივრცეში არსებული მონაცემები გაუფრთხილებლად.

5.5. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისას, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, რაზედაც რაიმე სახის წინასწარ შეტყობინების ვალდებულება მხარეებს არ გააჩნიათ.

## **6. კონფიდენციალურობა**

6.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას - დაიცვას მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დამკვეთის მიერ სერვერზე (გამოყოფილ დისკურ სივრცეში) განთავსებულ მასალებზე, არ განახორციელოს უნებართვო წვდომა დამკვეთის მასალებზე, არ გაავრცელოს ისინი და არ გადასცეს მესამე პირებს შესაბამისი სასამართლო განჩინების ან კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე.

## **7 დავების გადაწყვეტის წესი**

7.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან წამოჭრილი ყველა დავა, ანდა წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

7.2. სადაო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს გააჩნიათ უფლებამოსილება მიმართონ სასამართლოს და გადაჭრან სადაო საკითხები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

## **8. დასკვნითი დებულებები**

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის „დამკვეთი“-ს მიერ ონლაინ განაცხადის შევსების დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი გაუქმება დასაშვებია

მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამასთან გაუქმების, ცვლილების ან დამატების შესახებ, თუ არ მოხდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი პუნქტებისა და ვალდებულებების დარღვევა მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობით.

8.3 ონლაინ ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, გააჩნია იურიდიული ძალა და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეებისათვის.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

რეკვიზიტებია:

შპს "ინტერნეტ სერვისები"  
ს/კ 406237763

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 16 / 810. .

ვებ: finddomain.ge

ელ-ფოსტა: contact@finddomain.ge

ტელ: +995 593188661

ბანკი: სს "თიბისი ბანკი"

ანგარიში: GE38TB7224136020100010

ბანკის კოდი: TBCBGE22

ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"

ანგარიში: GE46BG0000000101367892

ბანკის კოდი: BAGAGE22

---

ძალაშია: 01.12.2018წ.

ბოლო განახლების თარიღი: 17.04.2025წ.